# ისწავლე სახლში

4
კლასი

# კითხვა

შექმნილია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით – 2018-2024

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

## სერიის კონცეფცია

სერია დაეხმარება დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს, **ისწავლონ ქართული ენა,** ანუ შეძლონ მშობლიურ ენაზე **გამართულად წერა და კითხვა**.
წიგნებში მოცემული აქტივობები **შექმნილია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით.**
კითხვის რვეულებში მოცემული მწყობრი სავარჯიშოების სისტემა ასწავლის პატარა მკითხველებს წაკითხული ტექსტის შინაარსის აღქმას, მასში მოცემული ინფორმაციის დახარისხებასა და ორგანიზებას, ტექსტის ძირითადი კომპონენტების გამორჩევასა და მათ შორის კავშირების დამყარებას, გაუმდიდრებს ლექსიკას. სერიაში შესული ნაწყვეტები მაღალმხატვრული საბავშვო ლიტერატურიდან პატარებს გემოვნებიან მკითხველებად გაზრდის, წერის აქტივობები კი მათ ნააზრევის სწორად გადმოცემაში დაეხმარება.

## წიგნების სტრუქტურა

თითოეულ კლასში ტექსტები და სავარჯიშოები განაწილებულია მოსწავლეთათვის საინტერესო თემების მიხედვით – იქნება ეს თავგადასავალი, წვეულება, საიდუმლო, სოფელი, წიგნის შერჩევა თუ სხვა. თემები ერთი კლასის ფარგლებში წერისა და კითხვის რვეულებში ერთმანეთს მიჰყვება, რაც სწავლების პროცესს კიდევ უფრო ღრმასა და საინტერესოს ხდის. თუმცა წერის ან კითხვის რვეულის გამოყენება ცალკეც შეიძლება, იმის მიხედვით, ამა თუ იმ მოსწავლეს რომელი მიმართულებით სჭირდება განვითარება.
თითოეული თემის ბოლოს არის შეფასების გრაფა, რომელშიც სამუშაოს კარგად შესრულებისთვის, წასახალისებლად შეგიძლიათ მოსწავლეს ვარსკვლავი, გული ან სხვა სახალისო ფორმა ჩაუხატოთ.

## სერიის გამოყენება

სერიის სახელწოდებაც მიგვანიშნებს, რომ მოსწავლეებმა შინ უნდა იმუშაონ, რადგან საგაკვეთილო საათები ისედაც დატვირთულია. ეს ერთგვარად სკოლაში ნასწავლი მასალის განმტკიცება და კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობების აღმოჩენაა.
პედაგოგებს შეუძლიათ სერიის კომპონენტები გამოიყენონ, როგორც საშინაო დავალების რვეულები და კლასგარეშე საკითხავი წიგნები; ხოლო მშობლებს, რომლებიც აქტიურად ზრუნავენ შვილების განათლებაზე, სახლის პირობებში მთელი კურსის წარმართვის საშუალება ეძლევათ. სავარჯიშოები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლე დამოუკიდებლადაც გაართმევს თავს სწავლის პროცესს.

**თინათინ კუხიანიძე**
**მარინა ბედოშვილი**

ისწავლე სახლში
**კითხვა**
4 კლასი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
თბილისი, 2018

რედაქტორი **რუსუდან გორგაძე**
ილუსტრატორი **ია მახათაძე**
დიზაინერი **ია მახათაძე**
ტექნიკური დიზაინერი **თინათინ ბერბერაშვილი**

ISBN 978-9941-30-189-6

© ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
აღმაშენებლის 150, 0112 თბილისი
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

GEORGIAN 4
Reading

© Sulakauri Publishing, 2018
All rights reserved.

www.sulakauri.ge

# სარჩევი


ავტორი . . . . . 4
წვეულება . . . . . 6
ვინ რას ამბობს? . . . . . 10
პერსონაჟი . . . . . 12
დღიური . . . . . 14
აღწერა . . . . . 16
თავგადასავალი . . . . . 18
დასაწყისი . . . . . 20
გაგრძელება . . . . . 22
დასასრული . . . . . 24
წიგნის შერჩევა . . . . . 26
საიდუმლო . . . . . 28
გაზეთი და ჟურნალი . . . . . 32
კომიქსი . . . . . 34

# ავტორი

1 ყურადღებით წაიკითხე ტექსტი.

## ჩემი თავგადასავალი

(ნაწყვეტი)

საწერეთლოში, ზემო იმერეთში, ბევრი კარგი სოფელია და მათ რიცხვში ურევია სავანეც, ის სოფელი, სადაც ჩემი ძიძა ცხოვრობდა და მე ვიზრდებოდი. როგორც სათვალდათვალოდ*, ისე ჰაერის სიკეთითაც ის საუცხოო რამ არის და ამიტომაც დაურქმევიათ „სავანე“, ე. ი. მოსასვენებელი ადგილი. საჩხერეზე შორს არ არის: ჩვენი სახლიდან ნახევარი საათის სასიარულო თუ იქნება. აქ ავიდგი მე ფეხი, აქ ამოვიდგი ენა და აქედანვე იწყება ჩემი მახსოვრობაც. თვალწინ მიდგია ისლით* გადახურული ხის სახლი წინა და უკანა კარებით, უფანჯრ-უსარკმელო, მხოლოდ ორი საკვამლურით, ანუ საფაფურით*, საიდანაც კვამლი გადიოდა და სამაგიეროდ, სინათლე შემოდიოდა. შუა კერაზე*, მხარ-თეძოზე წამოწოლილი, დევივით იდვა დიდი, უზარმაზარი ჯირკვი* და ზამთარ-ზაფხულ ცეცხლი გუზგუზებდა. გლეხის ოჯახი დილიდან საღამომდე სულ მუშაობაშია, საქმე არ გამოელევათ და ამიტომ ბავშვების გრძნობა-გონება სუყოველთვის გართულია.

კაცები დილითვე ადრე მიდიან სამუშაოდ ყანებში, თუ ტყეში, სადილი და სამხარიც იქ მიუდისთ და დაღამებამდე არ ბრუნდებიან სახლში. ქალები კი საოჯახო საქმეზე ტრიალებენ. მათ ხელშია საქონლის მოვლა, ფრინველების პატრონობა, სახლის დაგვა-დასუფთავება, სადილ-ვახშმის მზადება და მრავალი სხვა საწვრილმანო რამეები. ბავშვი რომ თვალყურს ადევნებს იმათ მუშაობას, თვითონაც ძალაუნებურად მონაწილე ხდება და სწავლობს.

ხუთი-ექვსი წლისამ ძალიან კარგად ვიცოდი, თუ როგორ უნდა პირუტყვის ყურისგდება, ფრინველის მოვლა, სადილ-ვახშმის მზადება, გაცრა-გამტკიცვა*, გამოცხობა, სხვადასხვაგვარ შეჭამანდის* მომზადება და სხვანი. შესწავლილი მქონდა, თუ როდის და როგორ უნდოდა: ხვნა-თესვა, თოხნა, მკა, სხვლა და სხვანი, ასე რომ ჩემი შესაფერი ხელსაწყო რომ მქონოდა, ყველაფერს მოვახერხებდი...

აკაკი წერეთელი

**2** ზოგჯერ ავტორი თავის ცხოვრებაზე წერს. ასეთ ნაწარმოებს ავტობიოგრაფია ჰქვია. ნაწყვეტში რომელი ავტორი ჰყვება თავის თავზე?

.....

**3** სწორად დააკავშირე ხაზით.

| | |
|---|---|
| ავტორი იგონებს, რომ სოფელში კაცები... | ...უვლიან საქონელსა და ფრინველს. |
| | ...მუშაობენ ყანაში. |
| | ...აკეთებენ სადილს. |
| ხოლო ქალები... | ...მიდიან სამუშაოდ ტყეში. |
| | ...ალაგებენ სახლს |

**4** დააკავშირე ხაზით. გაითვალისწინე, რომ სწორი პასუხი ერთზე მეტია.




**5** ტექსტში უცხო სიტყვები მონიშნულია ვარსკვლავებით. შეეცადე, შინაარსის მიხედვით გამოიცნო მათი მნიშვნელობა.

| | |
|---|---|
| სათვალთვალოდ | წვნიანი |
| ისლი | გაცრა |
| საფაფური | კუნძი |
| კერა | მცენარე |
| ჯირკვი | საკვამური |
| გამტკიცვა | ცეცხლის დასანთები ადგილი |
| შეჭამანდი | აქ: დასანახად |

# წვეულება

**1** ყურადღებით წაიკითხე ტექსტი.

## გაიცანით პეპი

მალე პეპის დაბადების დღეც მოახლოვდა. მან ზეიმის მოწყობა გადაწყვიტა. ამიტომაც ტომისა და ანიკას წერილი მისწერა და დაბადების დღეზე დაპატიჟა. წერისას ცოტა იწვალა. საქმე ისაა, რომ პეპის წერა მაინცდამაინც კარგად არ ეხერხება, რადგან სხვა ბავშვებივით სკოლაში არ დადის. თუმცა, ყოველთვის ცდილობს, რაც შეიძლება გამართულად დაწეროს. შემდეგ პეპიმ წერილი ტომის და ანიკას საფოსტო ყუთში ჩააგდო.

ნეტავ იცოდეთ, როგორ გაუხარდათ ტომისა და ანიკას, პეპის წერილი რომ იპოვეს. ცხადია, ძალიან უნდათ, პეპისთან ზეიმზე წასვლა. ბავშვებმა გამოსასვლელი, ლამაზი ტანსაცმელი ჩაიცვეს და თმაც კარგად დაივარცხნეს. შემდეგ პეპისთვის საჩუქარიც იყიდეს – მუსიკალური ყუთი, და ვილა „ვილეკულასაკენ“ გაემართნენ.

როდესაც პეპიმ პაკეტი გახსნა, ისე გაუხარდა, ხტუნვა დაიწყო. მუსიკალურ ყუთს დიდხანს უკრავდა, მელოდია ძალიან მოეწონა.

შემდეგ პეპიმ სამზარეულოში სუფრა გააწყო და სტუმრები ნაღებმოსხმულ ცხელ შოკოლადსა და თავისივე გამომცხვარ უამრავ ნამცხვარსა და ტორტზე

დაპატიჟა. წვეულებაზე მოპატიჟებული იყო ბატონი ნილსონიცა და პეპის ცხენიც.

– ისეთ წვეულებაზე არასოდეს ვყოფილვარ, ცხენებიც რომ ყოფილიყ-ვნენ, – გაუკვირდა ანიკას და ცხენს შაქრის ნატეხი შესთავაზა.

– არც მე, – დაეთანხმა ტომი, – ეს ყველაზე კარგი წვეულებაა ჩემს ცხოვრებაში.

როდესაც პეპიმ შოკოლადი დალია, ფინჯანი თავზე ჩამოიფხატა, თითქოს ქუდი ყოფილიყო. მაგრამ ჭიქა მთლად ცარიელი არ აღმოჩნდა და ცოტა შოკოლადი სახეზე ჩამოეწუწა.

ჭამის შემდეგ ითამაშეს „არ დააბიჯო იატაკს ფეხი“. სამზარეულოსთვის ისე უნდა შემოევლოთ, რომ იატაკს ფეხით არ შეჰხებოდნენ. ბავშვებიც ხელსაბანიდან ქურაზე ხტებოდნენ, ქურიდან – შეშის შესანახ ყუთზე, შემდეგ პალტოების საკიდის გავლით – მაგიდაზე, იქიდან კი – კუთხის კარადაზე, კარადიდან – ცხენზე და ცხენიდან – ისევ ხელსაბანზე. კიდევ კარგი, ცხენი იქვე იდგა და მასზე დადგომა შეიძლებოდა, თორემ საქმე გართულდებოდა.

პეპის ერთი უჯრებიანი კომოდი აქვს. ამ უჯრებში კი ბევრი შესანიშნავი ნივთი ინახება; ისეთები, როგორებსაც სათამაშოების მაღაზიაშიც კი ვერ ნახავ. მაგალითად, აქ არის თოჯინის პატარა სერვიზი, საყვირები, ჩიტის კვერცხები და უცნაური სილამაზის ნიჟარები, სადაფისტარიანი დანები და ყელსაბამები და კიდევ რა აღარ, ყველაფერს ვერც ჩამოვთვლით. პეპისაც სურდა, ტომისა და ანიკასთვის რაიმე ეჩუქებინა, მიუხედავად იმისა, რომ მათი დაბადების დღე არ იყო. ტომის სპილოს ძვლისაგან გაკეთებული პატარა სალამური ერგო, ანიკასთვის ლამაზი, პეპლისფორმიანი გულსაკიდი აარჩიეს.

– ეს ყველაზე კარგი წვეულებაა, რომელზეც ოდესმე ვყოფილვარ, – კვლავ განაცხადა ტომიმ.

– ჰო, – კვერი დაუკრა ანიკამაც, – დასანანია, რომ სახლში დაბრუნების დროა.

ტომი და ანიკა პეპის დაემშვიდობნენ, პეპიმ და ბატონმა ნილსონმაც დაუქნიეს ხელი ბავშვებს.

ასე ჩაიარა პეპის წვეულებამ...

და-ძმას ისე უყვარს პეპი, ყოველდღე მასთან სტუმრობა და თამაში უნდათ.

ასტრიდ ლინდგრენი

**2** შენი სიტყვებით დაწერე იმ ეპიზოდის შინაარსი, რომელიც ყველაზე მეტად დაგამახსოვრდა და შენზე შთაბეჭდილება მოახდინა.

**3** ჩამოწერე ამ ნაწყვეტის ყველა პერსონაჟი.

**4** ამ ნაწყვეტის მიხედვით დაახასიათე პეპი. შენი მოსაზრების დასადასტურებლად დაიმოწმე ტექსტი.

ვფიქრობ, პეპი არის...
რადგან ტექსტში
წერია, რომ...

**5**

რა რის შემდეგ მოხდა? შეეცადე, ამბავი მოკლედ გადმოსცე. როდესაც ბოლო უჯრას შეავსებ, ამბავი დასრულებული უნდა იყოს.

პეპიმ ტომის და ანიკას _____

_____

ტომიმ და ანიკამ _____

_____

დაბადების დღეზე _____

_____

_____

_____

_____

_____

# ვინ რას ამბობს?

**1** ყურადღებით წაიკითხე ტექსტი.

## სალამურას თავგადასავალი

(ნაწყვეტი)

ტყიდან სიმღერით გამოვიდა ყვითელკაბიანი გოგონა. გოგონას გარს ეხვეოდა უამრავი ვარსკვლავი და ღამეში თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. რის ვარსკვლავები! ვარსკვლავები კი არა, ციცინათელების ამალა მოჰყვებოდა.

გოგონა მღეროდა. სალამურას სიმღერა ისე მოეწონა, რომ ქამარში გარჭობილი სალამური ამოიღო და ჩაჰბერა, სალამურის ხმა გოგონას სიმღერას შეუხმატკბილა. გოგონამ სალამურის ხმა რომ გაიგონა, შეჩერდა. ციცინათელებმა ახლა სალამურას გარშემო დაიწყეს ფრენა და ღამეში ნათლად გამოჩნდა სალამურის დამკვრელი წითელჩოხიანი მწყემსი ბიჭუნა.

– ვინა ხარ? – ჰკითხა ყვითელკაბიანმა გოგონამ.

– მე სალამურა ვარ, ჭიამაიების მწყემსი.

– მერე, ამ ღამეში აქ რამ მოგიყვანა?

– ჭიამაიები დავკარგე და იმათ ძებნაში შემომაღამდა.

– განა შენ იცოდი, რომ მე მათი მოძებნა შემეძლო?

– არა, აქ შემთხვევით მოვხვდი. მაგრამ, თუ შეგიძლია, მაპოვნინე ჩემი ჭიამაიები, მადლობელი ვიქნები.

– კარგი, გაპოვნინებ.

– მითხარი, რა გქვია ან ვინა ხარ?

– მეც მწყემსი ვარ, ოღონდ, ციცინათელების მწყემსი. ბაია მქვია.

– ბაია! რა კარგი სახელია! მე მინახავს ლამაზი, ყვითელი ყვავილი, იმ ყვავილსაც ბაიას ეძახიან. მართლა, შენი კაბაც ხომ ბაიას ყვითელი ფურცლებისაგან არის შეკერილი!



ბაიამ გაიღიმა, არაფერი უპასუხა.

– როგორ მაპოვნინებ დაკარგულ ჭიამაიებს?

– ციცინათელებს გავგზავნი და უსათუოდ იპოვიან. ციცინათელები კეთილები არიან. ისინი ღამით გზააბნეულ მგზავრებს პოულობენ და გზას უნათებენ.

ბაიამ ქვეყნის ოთხივე მხარეს გაგზავნა ციცინათელები, თან დაარიგა, ვინ უნდა ეძებნათ და როგორ უნდა მოქცეულიყვნენ...

არჩილ სულაკაური

**2** როგორ ფიქრობ, რატომ ჰქვია ბიჭს სალამურა?

_____

შემოხაზე ტექსტში ის ნაწილი, რომელიც შენს მოსაზრებას ამყარებს.

**3** ვინა თქვა? სწორად მიუწერე პერსონაჟების სახელები.

_____ – მე ჭიამაიების მწყემსი ვარ.

_____ – მე ციცინათელების მწყემსი ვარ.

_____ – როგორ მაპოვნინებ დაკარგულ ჭიამაიებს?

_____ – ციცინათელებს გავგზავნი და უსათუოდ იპოვიან.

_____ – ისინი ღამით გზააბნეულ მგზავრებს პოულობენ და გზას უნათებენ.

_____ – ამ ღამეში აქ რამ მოგიყვანა?

_____ – ჭიამაიები დავკარგე და იმათ ძებნაში შემომაღამდა.

**4** დაწერე გაგრძელება, როგორ იპოვეს ციცინათელებმა ჭიამაიები.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

# პერსონაჟი

**1** ყურადღებით წაიკითხე ტექსტი.

## გთხოვთ, მიხედეთ ამ დათვს

მისტერ და მისის ბრაუნები პადინგტონს პირველად რკინიგზის სადგურზე შეხვდნენ და ამიტომაც დაერქვა მას დათვისთვის ასეთი შეუფერებელი სახელი – პადინგტონი ხომ სადგურის სახელწოდება იყო. ბრაუნები თავიანთი ქალიშვილის, ჯუდის დასახვედრად მისულიყვნენ. იგი სწავლის დასრულების შემდეგ არდადეგებზე სახლში ბრუნდებოდა. ზაფხულის თბილი დღე იდგა და სადგური ზღვისკენ მიმავალი ხალხით იყო სავსე. მატარებლების გუგუნსა და საყვირების ხმას აქეთ-იქიდან მებარგულების ყვირილიც ემატებოდა და ისეთი ხმაური იყო, მისტერ ბრაუნმა ძლივს გააგებინა თავის მეუღლეს, რომ დათვი დაინახა.

– დათვი? პადინგტონის სადგურზე? – მისის ბრაუნმა განცვიფრებულმა გადახედა ქმარს, – რა სისულელეა, ჰენრი. აქ დათვს რა უნდა?!

მისტერ ბრაუნმა სათვალე შეისწორა:

– შენ წარმოიდგინე, მართლა დავინახე, სულაც არ მომლანდებია. აი, იქ, მოაჯირთან. რაღაც სასაცილო ქუდი ეხურა.

ისე, რომ პასუხს არც კი დალოდებია, მისტერ ბრაუნმა თავის მეუღლეს ხელი ჩაჰკიდა, სწრაფად ჩაატარა ხალხით გადაჭედილი ბაქანი, ჩემოდნებს შორის გაძვრნენ და დაკარგული ნივთების ოფისთან გაჩერდნენ.

– აი, ისიც! – წარმოთქვა მან ნიშნის მოგებით და ბნელი კუთხისკენ მიუთითა, – გეუბნებოდი თუ არა?!

მისის ბრაუნმა გაშვერილ თითს გააყოლა თვალი და კუთხეში მართლაც შენიშნა გაბურძგნილი პატარა არსება. ის უცნაურ ჩემოდანზე ჩამომჯდარიყო და კისერზე რაღაც წარწერა ეკიდა, ხოლო მის ძველ და გაცვეთილ ჩემოდანს ერთ-ერთ გვერდზე დიდი ასოებით ეწერა: „ხელბარგი“.

მისის ბრაუნმა მეუღლეს ხელი სტაცა:

– ოჰ, ჰენრი, – წამოიძახა მან, – ახლა კი ვხედავ, რომ არ შემცდარხარ. მართლა დათვი ყოფილა.

ქალმა უცნობი არსება ყურადღებით

შეათვალიერა. რაღაც განსაკუთრებული ჯიშის დათვი უნდა ყოფილიყო. ყავისფერი, უფრო სწორად კი, ჭუჭყისფერი ბეწვი ჰქონდა და თავზე ფართოფარფლებიანი ძალიან უცნაური ქუდი ეხურა, რაც მისტერ ბრაუნმა მანამდეც აღნიშნა. ქუდის ქვემოდან ორი ვეებერთელა მრგვალი თვალი იმზირებოდა.

ამ უცნაურმა არსებამ მათ დანახვაზე პატივისცემის ნიშნად ქუდი მოიხადა.

– გამარჯობა, – წარმოთქვა მან წყნარად და გარკვევით.

– გა...მა...რჯობა, – ყოყმანით უპასუხა მისტერ ბრაუნმა.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

– რით შემიძლია დაგეხმაროთ? – იკითხა ბოლოს დათვმა.

მისტერ ბრაუნი დაიბნა...

მაიკლ ბონდი

**2** როგორ ფიქრობ, წაიყვანეს სახლში მისტერ და მისის ბრაუნებმა დათვი? პირველ აბზაცში იპოვე და შემოხაზე ის ადგილი, რომელიც ამას გაფიქრებინებს.

**3** ტექსტის მიხედვით აღწერე ეს პერსონაჟი. არ დაგავიწყდეს აღნიშნო: ა. მისი გარეგნობა; ბ. რით განსხვავდება ჩვეულებრივი დათვისგან.